პროექტი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _**

2024 წლის _ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824193121**
თარიღი: **11/07/2024**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გიგზავნით მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიშს 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 7 ფურცლად,

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2024 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდა ღონისძიებებს მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან,ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ,,სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით დაფინანსებული სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურული პროექტების, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული კერძო საკუთრებისა და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობების აღდგენის, დაზიანებული სახურავების, ქალაქ წყალტუბოში საზოგადოებრივი სივრცეებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის **ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილებამ** მუნიციპალიტეტის მერიის საშუალოვადიანი პერიოდის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მოამზადა საპროექტო წინადადებები, შედგენილი იქნა რგ(პ) ფონდის მიერ პრიორიტეტულად დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა, მათი აღწერის ფორმები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მათი განხილვისა და მოწონების შემდეგ პროექტები განსახილველად გადაეგზავნა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს და დაფინანსების გამოყოფისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

შესყიდვების განყოფილებამ მოამზადა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი სატენდერო განაცხადები, ხელშეკრულებების პროექტები,ასევე სატენდერო კომისიის სხვადასხვა დოკუმენტაციები, რომელთა საფუძველზე გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვების ტენდერები და გაფორმდა

სხვადასხვა მიმართულების 62 ინფრასტრუქტურული ხელშეკრულება, დარეგისტრირდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული 19 ხელშეკრულება, ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა ინფრასტრუქტურული და არაინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე გამცხადებული ტენდერების შესახებ DRIVE-ში ატვირთულ ცხრილებში მონაცემების განახლება და შეყვანა.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 2023-2024 წლების დაფინანსების ფარგლებში გასული წლის ბოლოს დაწყებული არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი: რომლებიც შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი მუშა - ჯგუფის მიერ, მათ შორის: რგფ-ის მიერ დაფინანსებული საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშოები: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ სოფ. რიონში ბრეგოულის და სულაქველიძეების უბნებში, სოფ. მაღლაკში მე-12, მე-13, მე-16, 20-ე ქუჩებზე, სოფ. ფარცხანაყანევში №49, №50, №53, №55, №59-ე ქუჩებზე, სოფ. პატრიკეთში ბაზმანების, ლელაძეების და ეკლესიასთან მისასვლელი გზებისა და მუხიანი-ოფშკვითის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის ( ღირებ.- 494837 ლარი) სოფელ ჯიმასტაროში სასმელი წყლის მაგისტრალისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები ( ღირებულ -999942 ლარი).

2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და საანგარიშო პერიოდში დასრულდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის დაღრმავებისა და გაფართოების, ასევე 2023 წლის 16-17 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად (ძლიერი წვიმა და ღვარცოფი) დაზიანებული, მდინარე ოღასკურაზე არსებული სამი ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები ( ღირებულ.117000 ლ), სოფელ გეგუთში (გაბუნიების უბანი) გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთში გამსახურდიას ქუჩაზე მე-18 ჩიხში გზის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირ.183381 ლ,).

საანგარიშო პერიოდის პირველ კვარტალში დასრულდა ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული 2023 წლის გარდამავალი პროექტები - ქალაქ წყალტუბოში, ე. ნინოშვილის I ჩიხში №5 საერთო საცხოვრებელი ბინის მოაჯირებისა და ფასადის რეაბილიტაციის (ღირ. 54322 ლ),სოფელ გუმათში და სოფელ ქვედა მესხეთში ბროწეულას დასახლებაში ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები (58888 ლ),სოფელ თერნალში მე-10 ქუჩის N3 ბინის გარე ფასადის თეთრი ცემენტის ხსნარით დაშხეფვის , ასევე ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩის მე-3 შესახვევის N8, აფხაზეთის ქუჩა N14 და N16 საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები(84416 ლ).

2024-2025 წლების დაფინანსების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 8 481 577 ლარი გამოიყო, საიდანაც რგ(პ) ფონდის მიერ ანაზღაურდება 8 011622 ლარის (95%, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან-469 955 ლარის (5%-იანი თანადაფინანსებით) ღირებულების სამუშაოები.

აქტიურად მიმდინარეობს და შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადებში დასრულდება რგ(პ) ფონდის მიერ დაფინანსებული სოფელ ახალ საყულიაში ბაღის გზის, ჭელიძეების გზის, მირზა ჩანქსელიანის უბანში გზისა და სასაფლაოს გზის მოწყობის, სოფელ გეგუთში აღმაშენებლის, კუხიანიძეების და ფიროსმანის ქუჩებზე და ვარციხეჰესის დასახლებაში შიდა გზების მოწყობის, სოფელ ცხუნკურში ჯვარის უბანში, სოფელ ცხუნკური-ბესიაურის გზისა და დედაღვთისას მონასტერთან მისასვლელი გზის მოწყობის, სოფელ ბანოჯაში მე-6 ქუჩისა და მელაძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, სოფელ ხომულში სახერხის უბანში, მე-5 და 27 ქუჩებზე, სოფელ ბანოჯაში №10, №17 და №7 ქუჩებზე, სოფელ გუმბრაში ბზიკაძეების უბნიდან სასაფლაოს მიმართულებით გზების ბეტონის საფარით ( შემსრ. შპს ,,მიმდემი") და სოფელ ჩუნეშში №2 ქუჩაზე (ძეძილეთამდე), №11 ქუჩაზე (ცენტრალური გზა), ასევე სოფელ მეორე უბანში №3 ქუჩის პირველ ჩიხში, №6 ქუჩის მეორე ჩიხში და №8 ქუჩაზე მესამე ჩიხში გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები (შემსრულებელი შპს ,,ცეკური"), რომელთა

ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 6 319 650 ლარია) და სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებით -1971228 ლ ( შემსრ. შპს B /B).

საანგარიში პერიოდში **დასრულდა** 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან **დაფინანსებული** სოფელ გეგუთში გრიშაშვილის ქუჩაზე, სოფელ გვიშტიბში ჩავჩიძეების უბანში, სოფელ გუმბრაში ყოფილი უნივერმაღის უკან, მელაძეების და სინაურიძის უბნებში, ასევე სასაფლაოსთან მისასვლელი გზის, სოფელ მუხიანში ქვაჩაკიძეების უბანში, სოფელ ქვიტირში მე-6 ქუჩის მე-17 ჩიხში, მე-10 და მე-15 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, ასევე სოფელ ქვიტირში პირველი ქუჩის მე-11 ჩიხში გზის ბეტონის საფარით მოწყობა, ქალაქ წყალტუბოში, არსებული შუქნიშნების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების, ქ. წყალტუბოში, 9 აპრილის და დედაენის ქუჩაზე არსებული მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები,

**მიმდინარეობს/დასრულების პროცესშია** სოფელ გვიშტიბში (კირთაძეების უბანში), სოფელ თერნალში, სოფელ ტყაჩირში (ლანჩავების, ჩხობაძეებისა და ღვინიანიძეების უბნებში) და ქალაქ წყალტუბოში, ყაზბეგისა და ევდოშვილის ქუჩებზე არსებული სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო , ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩის მე-3 შესახვევში N3 ბინის მიმდებარედ ახალი სადრენაჟო სისტემისა და სოფელ გვიშტიბში თამარ მეფის ქუჩაზე ახალი სანიაღვრე არხის მოწყობის, სოფელ სორმონში (ვახტანგაძეების უბანში), გუმბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ წყალტუბოში პირველი ქუჩის მე-4 და მე-5 ჩიხებში და ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩაზე გზების მოწყობა ბეტონის საფარით მოწყობის, ცენტრალურ პარკის ტერიტორიაზე გალაქტიონ ტაბიძის მემორიალური ბიუსტისა და კვარცხლბეკის მოწყობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ყოველწლიურად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები.

სამსახურმა ოპერატიულად განახორციელა ღონისძიებები მ/ წლის თებერვლის თვეში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად. კომისიურად აღიწერა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 508000 ლარით დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული 17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახურავების შეკეთების სამუშაოები.

სტიქიის შედეგად დაზიანებული 36 კერძო საცხოვრებელი სახლის მფლობელს დაზაინებული სახურავების შეკეთებისთვის გადაეცა 59368 ლარის ღირებულების გადახურვისათვის საჭირო მასალები (გოფრირებული მოთუთიებული თუნუქი, სამშენებლო ბლოკები,ხის მასალები (კოჭი, ფიცარი) .

კაპიტალურად შეკეთდა სტიქიის შედეგად დაზიანებული კორპუსების სახურავები ქალაქი წყალტუბოში, დედა ენის ქუჩა N3, დედა ენის ქუჩის მე-5 ჩიხი ბინა N2, გურამიშვილის ქუჩა N6, გურამიშვილის ქუჩა N6ა, ჭავჭავაძის ქუჩა N10, ჭავჭავაძის ქუჩა N11. ( სახელშეკ. ღირებულ-149179 ლ); კოლხეთის ქუჩა N6 და ბესიკის ქუჩა N8 ( სახელშეკ. ღირებულ-65899 ლ); თბილისის ქუჩის პირველი ჩიხი ბინა N1 და გ. ტაბიძის ქუჩა N3ა, ასევე სოფელ თერნალის მე-10 ქუჩა N30 და სოფელ მუხიანის სამხედრო დასახლების ბინა N2 ( სახელშეკ. ღირებულ-120185 ლ); კოლხეთის ქუჩის მეორე ჩიხი ბინა N10, 9 აპრილის ქუჩა N3, 9 აპრილის ქუჩა N5 ( სახელშ. ღირებულ-125582 ლ); დედა ენის ქუჩა N24, დედა-ენის ქუჩა N15 ( სახელშეკრ. ღირებულ-23791 ლ);

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული მუხლიდან მ/ წელს 800 000 ლარია გამოყოფილი. წლის პირველ ნახევარში გაფორმდა ხელშეკრულებები თანადაფინანსებით 15 საცხოვრებელ კორპუსში სახურავებისა და სადარბაზოების შეკეთებით სამუშაოებზე. გამოცხადებულია ტენდერები 13 კორპუსში სახურავებისა

და სადარბაზოების შეკეთების სამუშაოებზე და ეს პროცესი ეტაპობრივად მ/ წლის ბოლომდე გაგრძელდება. ამ პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა დევნილთა დასახლებებში საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების შესაკეთებლად. კერძოდ ,საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. წყალტუბოში აფხაზეთის ქუჩაზე N 14 და N 16 კორპუსების სახურავების სრული რეაბილიტაციის სამუშაოები, დასრულების პროცესშია ქ. წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩაზე N 10 და კოპიტნარის დევნილთა დასახლების N 9 და N 14 მრავალბინიან კორპუსებში სახურავების შეკეთებითი სამუშაოები, რომელთა 85 % მუნიციპალიტეტის მერიის მიერაა დაფინანსებული.

ურბანული წარმოსახვის პროგრამის ფარგლებში მოპოვებული საერთაშორისო გრანტით დაფინანსდა სოფელ ჩუნეშში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეტრისა და საპირფარეშოს დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები (154432 ლ).

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან მ/ წელსაც 704000 ლარი გამოიყო . სანგარიშო პეროდში მუნიციპალიტეტის ყველა სოფელსა და დასახლებაში ჩატარდა მოსახლეობის კრებები, მათი მოთხოვნების გათვალისწინებით გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

შეუფერხებლად ხორციელდებოდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება. იანვარ- ივნისის თვეში შპს ,,სატრანსპორტო კომპანიას" ჯამურად ჩაერიცხა გაწეული მომსახურების თანხა 243 484 ლარი.

გამოცხადებულია ტენდერები სოფლებში: გუმათში, გეგუთში (ვარციხეჰესის დასახლებაში), საყულიაში, ხომულში (27-ე ქუჩაზე), გუმბრაში, მაღლაკში (მე-6 და მე-9 ქუჩებზე), სოფელ თერნალში, ასევე ქალაქ წყლატუბოში ნინოშვილის ქუჩაზე გარეგანათების ქსელის მოწყობის (ღირ. 52700 ლ), ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე №7 ბინასთან სკვერის მოწყობის, ასევე სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა-

რეაბილიტაციის ( ღირებულ. 85000 ლ), 2024-2025 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ვარციხეჰესის დასახლებაში, სოფელ მაღლაკში ჭეიშვილების უბანში, სოფელ მუხიანში მეძმარიაშვილების უბანში, სოფელ ოფშკვითში დეისაძეების უბანში და სოფელ უკანეთში გვანცელაძეების უბანში გზების ბეტონის საფარით მოწყობის ( ღირებ.227218 ლ), ზოგადი ხედვის კამერებისა და სხვა საჭირო მოწყობილობების შესყიდვის (ღირებულ. 11855 ლ)რდენი პუნქტი), სოფელ ბანოჯაში, ფარცხანაყანევში, ცხუნკურში და მაღლაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) ახალი სპორტული მოედნების მოწყობის, ასევე ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩის 1-ელ ჩიხში და შანიძის ქუჩაზე არსებული სპორტული მოედნების ( ღირებულ 415000 ლ) რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხილული და შესწავილი განცხადებები და წერილები რომლებიც სავადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების, ტერიტორიების კეთილმოწყობის, საზოგადეობრივი და დასასვენებელი სივრცეების, სკვერების მოწყობის, წყალანირების სისტემებისა და ღვარსადენი არხების მოწყობა/ რეაბილიტაციის საკითხებს შეეხებოდა, კონტროლზეა აყვანილი და შესაძლებლობის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდება, ხოლო გარკვეული ნაწილი შეტანილი იქნება შემდგომ ეტაპზე განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში.

სამსახურის უფროსი: მ. ჩხეიძე